ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

13 ოქტომბერი, შაბათი. 1990 წ.
№ 195 (10364) ● ფასი 8 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

პრეტენდენტთა ტურნირზე

მდგომარეობა ფრიად ბუნდოვანია

ბორჯომში დასასრულს მიუახლოვდა პრეტენდენტების ტურნირი, მდგომარეობა კი ფრიად ბუნდოვანია.

მეოთხე ტურში რამდენადმე შეფერხდა ლიდერი — გალიამოვა. იგი თეთრებით აქტიურად თამაშობდა კახიანთან, ერთ მომენტში ლაზიერის საინტერესო შეწირვაც განახორციელა ეტლსა და მსუბუქ ფიგურაში. კახიანი, რომელიც წარუმატებელი სტარტის შემდეგ გაცილებით უკეთ თამაშობს, კარგად იცავდა თავს. მან არ მოინდომა მატერიალური მონაპოვარის შენარჩუნება, მალე აღადგინა წონასწორობა და თანაბარ პოზიციაში მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ. იოსელიანმა შავებით უარესი პოზიცია მიიღო მარიჩთან, მაგრამ თანდათანობით გამოასწორა მდგომარეობა. ეს შეხვედრაც ყაიმით დამთავრდა. თავისებური კურიოზია, რომ ისეთი ენერგიული და შემართებული სტილის მოჭადრაკე, როგორიც ნანა იოსელიანია, ყოველ პარტიაში ბოლომდე იბრძვის, ზოგჯერ ძალიან ახლოსაა მოგებასთან, მაგრამ პირველი ოთხი პარტია, მაინც, ყაიმით დაასრულა. გაფრინდაშვილმა შავებით თავიდანვე გაართულა ბრძოლა კლიმოვა-რიჰტეროვასთან. ჩეხოსლოვაკიელი მოჭადრაკე არ დაელოდა პოზიციურ მარწუხებში მოქცევას და ფიგურა შეწირა ორ პაიკში. მაშინ მსოფლიოს ექსჩემპიონმა უკუაგდო დროებით გააქტიურებული თეთრების ძალები და გაიმარჯვა. რაც დრო გადის, სულ უფრო უკეთ თამაშობს სი ჟუნი, რომელსაც ტურნირის დაწყებამდე არავინ თვლიდა საპრიზო ადგილების პრეტენდენტად. ჩინელმა შეავიწროვა ახმილოვსკაიას ფიგურები, ჯერ ერთი პაიკი მოიგო, მერე მეორე და, ბოლოს, გიმარჯვა.

მეხუთე ტური აღინიშნა იოსელიანის პირველი გამარჯვებით და გალიამოვას პირველი წაგებით. იოსელიანმა ინგლისური დასაწყისის თავისებურ ვარიანტს მიმართა და თანდათანობით შეავიწროვა მეტოქე. მან გახსნა ხაზი მეფის ფრთაზე და პირდაპირი იერიში დაიწყო. ლიდერი ბევრს ეცადა მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ ქართველი მოჭადრაკე ბოლომდე ზუსტად თამაშობდა და გაიმარჯვა კიდეც. სი ჟუნმა გაფრინდაშვილთან შავებით ძველინდურ დაცვას მიმართა. საინტერესოა, რომ იგივე დებიუტი გათამაშდა ამ მეტოქეებს შორის ზაფხულში კუალა-ლუმპურის საზონათაშორისო ტურნირში. მაშინ შეხვედრა გაფრინდაშვილის გამარჯვებით დამთავრდა, ახლა კი პარტია სხვაგვარად წარიმართა. გაფრინდაშვილი, ცხადია, მოგებისკენ მიისწრაფოდა. მან უარი თქვა როქზე და მეფის ფრთაზე შეტევის მომზადებას შეუდგა. ამის საპასუხოდ ჩინელი აქტიურად თამაშობდა ბრძოლის საპირისპირო უბანზე. მან ხარისხი შეწირა და სანაცვლოდ ორი პაიკი მიიღო. პარტიის მეორე ნახევარში გაფრინდაშვილს, რომელიც ცაიტნოტში მოხვდა, შეცდომა მოუვიდა. შავებმა უკეთესი ენდშპილი მიიღეს და მოიგეს კიდეც ეს მნიშვნელოვანი პარტია. ყაიმზე შეთანხმდნენ კახიანი-კლიმოვა-რიჰტეროვა და ახმილოვსკაია-დინალდსონი — მარიჩი.

ახლა იოსელიანი ერთადერთი დაუმარცხებელი მონაწილეა. სამ მოჭადრაკეს (ახმილოვსკაიას, კახიანსა და კლიმოვას) უკვე აღარა აქვს საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის შესაძლებლობა, დანარჩენი ხუთი მონაწილე კი პირველ და მეორე ადგილებზე გასვლის მეტ-ნაკლებ პრაქტიკულ თუ თეორიულ შანსებს ინარჩუნებს.

ახლა მონაწილეთა სატურნირო მდგომარეობა ასეთია.

	მ.	უ.	წ.	ქ.
გალიამოვა	3	1	1	3,5
სი ჟუნი	3	1	1	3,5
იოსელიანი	1	4	0	3
გაფრინდაშვილი	2	1	2	2,5
მარიჩი	1	3	1	2,5
ახმილოვსკაია	1	2	2	2
კახიანი	0	3	2	1,5
კლიმოვა	0	3	2	1,5

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან, მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, მინისტრთა საბჭო და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 75 წლისა გარდაიცვალა ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, თბილისის საპატიო მოქალაქე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს ფიზიკური კულტურის დამსახურებული მოღვაწე

ბორის სოლომონის ძე პაიჭაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

შეიქმნა სპორტის დამსახურებული ოსტატის ბორის სოლომონის ძე პაიჭაძის დამკრძალავი სამთავრობო კომისია შემდეგი შემადგენლობით: ვაჟა ლორთქიფანიძე (თავმჯდომარე), ირაკლი ანდრიაძე, კახი ასათიანი, ნოდარ ახალკაცი, გურამ ბერიძე, გრიგოლ გაგუა, ნონა გაფრინდაშვილი, შოთა გორგოძე, ნუგზარ ენდელაძე, გერონტი კუხალეიშვილი, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, ვაჟა ქღენტი, დავით ყიფიანი, ვაჟა შუბლაძე, ალექსანდრე ჩივაძე, ოთარ წეროძე, მურთაზ ხურცილავა, გაიოზ ჯეჯელავა.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი

ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 75 წლისა გარდაიცვალა ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს ფიზიკური კულტურის დამსახურებული მოღვაწე, თბილისის საპატიო მოქალაქე

ბორის სოლომონის ძე პაიჭაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საკავშირო პირველობა კალათბურთში

პირველი ეტაპი, პირველი წრე

ქვეყნის ექვს ქალაქში დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა 58-ე საკავშირო ჩემპიონატის პირველი ეტაპის პირველი წრის მატჩები. გთავაზობთ ყველა შეხვედრის ანგარიშსა და სატურნირო ცხრილებს:

I ჯგუფი (ნერიუნგრი)

ცსკა — „შახტიორი“ (ნერიუნგრი) 117:91, ასკ (კიევი) — „ლოკომოტივი“ (ნოვოსიბირსკი) 84:75; ცსკა — „ლოკომოტივი“ 115:92, ასკ— „შახტიორი“ 85:69; ცსკა — ასკ 88:85, „ლოკომოტივი“ — „შახტიორი“ 100:81.

	თ.	მ.	წ.	ქ.
ცსკა	3	3	0	6
ასკ	3	2	1	5
„ლოკომოტივი“	3	1	2	4
„შახტიორი“	3	0	3	3

II ჯგუფი (სარატოვი)

„იმპულსი“ (კრასნოდარი) — „კალევი“ (ტალინი) 102:90, „დინამო“ (მოსკოვი) — „ავტოტრანსპორტნიკი“ (სარატოვი) 119:87, „დინამო“ — „იმპულსი“ 95:74, „ავტოტრანსპორტნიკი“ — „კალევი“ 108:101, „დინამო“ — „კალევი“ 95:77, „ავტოტრანსპორტნიკი — „იმპულსი“ 101:93.

„დინამო“	3	3	0	6
„ავტოტრანსპორტნიკი“	3	2	1	5
„იმპულსი“	3	1	2	4
„კალევი“	3	0	3	3

III ჯგუფი (ტაგანროგი)

„სპარტაკი“ (ლუგანსკი) — რტი (მინსკი) 92:89. „ბუდიველნიკი“, (კიევი) — „კრასნი კოტელშჩიკი“ (ტაგანროგი) 107:75; რტი—„კრასნი კოტელშჩიკი“ 114:97; „ბუდიველნიკი“ — „სპარტაკი“ 98:84. „კრასნი კოტელშჩიკი“ — „სპარტაკი“ 86:83, „ბუდიველნიკი“ — რტი 99:72.

„ბუდიველნიკი“	3	3	0	6
„სპარტაკი“	3	1	2	4
რტი	3	1	2	4
„კრ. კოტელშჩიკი“	3	1	2	4

IV ჯგუფი (ტაშკენტი)

„დინამო“ (ფრუნზე) — „დინამო“ (თბილისი) 93:81, ასკ (ალმა-ათა) — „უზსტროიმეხანიზაცია“ (ტაშკენტი) 92:70, „უზსტროიმეხანიზაცია“ — „დინამო“ (თბილისი) 83:81, ასკ — „დინამო“ (ფრუნზე) 107:90; ასკ — „დინამო“ (თბილისი) 113:93, „უზსტროიმეხანიზაცია“ — „დინამო“ (ფრუნზე) 91:72.

ასკ	3	3	0	6
„უზსტროიმეხ“.	3	2	1	5
„დინამო“ (ფრუნზე)	3	1	2	4
„დინამო“ (თბილისი)	3	0	3	3

V ჯგუფი (ირკუტსკი)

ნკი (ნიკოლაევი) — „სტროიტელი“ (კუიბიშევი) 92:63, „სტროიკერამიკა“ (დონეცკი) — „სტროიტელი“ (ირკუტსკი) 111:105; „სტროიტელი“ (კუიბიშევი) — „სტროიკერამიკა“ 104:89, „სტროიტელი“ (ირკუტსკი) — ნკი 100:87. ნკი — „სტროიკერამიკა“ 102:92 „სტროიტელი“ (კუიბიშევი) — „სტროიტელი“ (ირკუტსკი) 100:98.

ნკი	3	2	1	5
„სტროიტ“. (კუიბიშევი)	3	2	1	5
„სტროიკერამიკა“	3	1	2	4
„სტროიტ“. (ირკუტსკი)	3	1	2	4

VI ჯგუფი (ლიეპაია)

„სპარტაკი“ (ლენინგრადი) — ასკ (რიგა) 124:82. ვეფ (რიგა) — „სტროიტელი“ (მოსკოვის ოლქი) 113:97, ვეფ-ასკ 121:74, „სპარტაკი“ — „სტროიტელი“ 87:82; ვეფ— „სპარტაკი“ 97:92, „სტროიტელი“— ასკ 105:104.

ვეფ	3	3	0	6
„სპარტაკი“	3	2	1	5
„სტროიტელი“	3	1	2	4
ასკ	3	0	3	3

პირველი ეტაპის მეორე წრის მატჩები ისევ ექვს სხვადასხვა ქალაქში გაიმართება. თბილისის დინამოელები ამჯერად ფრუნზეში ისპარეზებენ. შეხვედრები ჩატარდება 17-19 ოქტომბერს.



მატჩი მსოფლიო პირველობაზე

მწვრთნელის ვარიანტმაც ვერ უშველა

ესპანური პარტიის ის ვარიანტი, რომელიც კასპაროვმა და კარპოვმა მეორე ტურში გაითამაშეს, მსოფლიო ექსჩემპიონის მთავარი მწვრთნელის დიდოსტატ იგორ ზაიცევის სახელს ატარებს. კარპოვი ადრეც არაერთგზის იყენებდა ამ დაცვის სისტემას, რომელსაც მყარი და საიმედო ვარიანტის რეპუტაცია აქვს. ამჯერად კი ბრძოლა ისე წარიმართა, რომ ექსჩემპიონს თავისი თანაშემწის რეკომენდაციამაც ვერ უშველა.

შეიქმნა პოზიცია, სადაც თეთრებს უკვე მეთერთმეტე სვლაზე შეუძლიათ პარტიის ყაიმით დამთავრება სვლების გამეორების გზით. „ასეთი საშუალებისთვის ადრე ბევრ მოჭადრაკეს მიუმართავს, მაგრამ კარპოვი, გასაგებია, ასეთ შედეგზე არც ფიქრობდა. კარგა ხანს მიჰყვებოდა გაკვალულ გზას, რომელმაც მას კარგი სამსახური გაუწია გაზაფხულზე იან ტიმანთან პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში. მაშინ ჰოლანდიელი დიდოსტატი ყოველნაირად ამწვავებდა ბრძოლას, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერაფერს ხდებოდა.

მე-19 სვლამდე მეტოქეები იმეორებდნენ ადრინდელ რეკომენდაციებს. მე-19 სვლაზე მსოფლიო ჩემპიონმა ახალი, საინტერესო გაგრძელება გამოიყენა — პაიკით ითამაშა და განამტკიცა საკუთარი ცენტრი. ამ ახლებური გაგრძელებით თავიდანვე აღიკვეთა შავების კონტრიერიშის შესაძლებლობა ცენტრალურ უჯრებზე. 25-ე სვლაზე, როცა შავებს თითქოსდა არაფერი ემუქრებოდა, კასპაროვმა წამოიწყო მოულოდნელი. მრავალსვლიანი ბრწყინვალე კომბინაცია. მისი საბოლოო შედეგი გარეგნულად არ იყო შავებისთვის სავალალო: მათ ორი მსუბუქი ფიგურა დარჩათ, თეთრებს კი ეტლი და ორი პაიკი. ფორმალურად ეს მატერიალურ წონასწორობას ნიშნავდა, სინამდვილეში კი კარპოვის ძალები გაითიშნენ, ზოგი ალთას იყო, ზოგი — ბალთას. ექსჩემპიონი ბევრს ფიქრობდა, თუმცა ხსნის მონახვა შეუძლებელი აღმოჩნდა. 33-ე სვლაზე კასპაროვმა პაიკის წინსვლით საბოლოოდ დაასუსტა მეტოქის მეფის საფარი. მსოფლიო ჩემპიონს დიდი მატერიალური უპირატესობა დარჩა და 44-ე სვლაზე გაიმარჯვა კიდეც.

მრავალრიცხოვანი კომენტატორების საერთო აზრით, მსოფლიო ჩემპიონმა თავიდან ბოლომდე ბრწყინვალედ წარმართა ეს პარტია.

ანგარიში გახდა 1,5:0,5 კასპაროვის სასარგებლოდ. მესამე პარტიაში, რომელიც გუშინ გაიმართა, თეთრებით კარპოვი თამაშობდა.

კამპომანესი არ არის ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი. საკდეს-ის კორესპონდენტმა მეორე პარტიის შესახებ აზრის გამოთქმა სთხოვა ამერიკელ დიდოსტატებს.

ჯოელ ბენჯამინი: „ეფექტური ბრძოლა იყო. კასპაროვმა ბრწყინვალედ ითამაშა. მან კარპოვის დაცვაში სისუსტეები აღმოაჩინა და ეფექტურად გამოიყენა ისინი. ექსჩემპიონმა რაიმე სიახლე თუ არ გამოიყენა ცუდად წაუვა საქმე. ფსიქოლოგიური უპირატესობა უკვე კასპაროვის მხარესაა“.

იასერ სეირავანი: „კასპაროვმა ესპანურ პარტიაში თვალსაჩინო თეორიული სიახლე შეიტანა. ჩემის აზრით კუს შეწირვა ნაადრევი იყო, მაგრამ კარპოვმა სიტუაცია ვერ გამოიყენა. ბრძოლის დასკვნითი ნაწილი ჩემპიონმა ბრწყინვალედ გაითამაშა, კარპოვმა ახლა ორი ქულა უნდა აიღოს, ეს კი ერთობ ძნელი საქმეა“.

საბჭოთა დიდოსტატმა ალექსი სუეტინმა კასპაროვის თამაში მეორე პარტიაში გენიალური უწოდა.

კარპოვის გუნდის უფროსმა ნიკოლოზ კროგიუსმა საკდეს-ის კორესპონდენტებთან საუბარში ნახევრადოფიციალური განცხადება გააკეთა. მისი აზრით, მატჩის პროცესში წამოჭრილ „პრინციპულ საკითხებს“ აქ, ნიუ-იორკში ვერავინ წყვეტს. კასპაროვი, როგორც ცნობილია, რუსეთის ცისფერ-თეთრწითელ დროშის ქვეშ გამოდის, კარპოვი კი ითხოვს წესის იმ პუნქტის გადახედვას, რომელიც მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაში ჩემპიონის სახელს კასპაროვს უნარჩუნებს. კროგიუსის აზრით ეს მოთხოვნები და პრეტენზიები კანონის თანახმად უნდა გადაწყდეს. ნიუ-იორკში კი არც ფიდე-ს პრეზიდენტი ფლორენსიო კამპომანესი იმყოფება და არც მის მიერ მატჩის ორგანიზაციისთვის გამოყოფილი პასუხისმგებელი პირები. მთავარ არბიტრს კი, კროგიუსის განცხადებით, ასეთი უფლებამოსილებანი არ გააჩნია. პრეტენდენტის გუნდის წარმომადგენელმა თავისი ეს მოსაზრება გააცნო მატჩზე აკრედიტებულ უცხოელ ჟურნალისტებს და დათანხმდა საბჭოთა პრესაში გამოქვეყნებაზე.

„ძველი“ ნაცნობები

საქართველოს ძიუდოისტთა ნებისმიერი პირველობა საინტერესო შეჯიბრებაა, მათ შორის, ცხადია, ახალგაზრდული ტურნირიც, რომელშიც ე. წ. გარდამავალი ასაკის მოჭიდავეები მონაწილეობენ. თუმცა რაღა „გარდამავალი“, მათ შორის ბევრს უკვე ახლავე საკმაოდ გამოცდილი ოსტატი ეთქმის. გადახედეთ საქართველოს წლევანდელი ახალგაზრდული პირველობის (იგი თელავში ჩატარდა) გამარჯვებულთა სიას და მათ შორის ჰიდაობის გულშემატკივრები კარგად ნაცნობ გვარებს აღმოაჩენენ...

თელავში წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ. **56 კგ.** კახა ლუზარაული (ახმეტა, „დინამო“); **60 კგ.** მაქსიმე ლობჟანიძე (თბილისი „დინამო“); **65 კგ.** ზურაბ მამუკელაშვილი (თელავი, „შევარდენი“); **71 კგ.** ბაკური თურქაძე (ლაგოდეხი, „მართვე“); **78 კგ.** თამაზ მუთოშვილი (თელავი, „მართვე“); **86 კგ.** ვასილ ომარაშვილი (ახმეტა. „დინამო“); **95 კგ.** კახა გუჯეჯიანი (მარნეულის რაიონი, „შევარდენი“); **მძიმე.** რომან უძილაური (ახმეტა, „შევარდენი“).

გუნდური. 1. „შევარდენი“ —40 ქულა; 2. „დინამო“ — 34,5; 3. „მართვე“ — 24; 4. ასკ — 24.

ინფორმაცია

● **ვენა.** ევროპის სუპერთასის პირველი შეხვედრა იტალიის კლუბებს „სამპდორიასა“ და „მილანს“ შორის დამთავრდა ფრედ — 1:1. ანგარიში 32-ე წუთზე გახსნა „სამპდორიის“ -ეხბურთელმა ალექსი მიხაილიჩენკომ, რამდენიმე წუთის შემდეგ საპასუხო ბურთი გაიტანა ალბერიკო ევანიმ.

ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა გაიმართება მილანში 29 ნოემბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს XXIII ჩემპიონატი რაგბიში

ანგარიშები, ცხრილები, ანონსი

თბილისი. ვარკეთილის სტადიონი. 10 ოქტომბერი.

„ზოოვეტი" (თბილისი) — სტუ (თბილისი) 6:10 (0:6).

„ზოოვეტი": მურვანიძე, შავგულიძე, წოწელია ნ. გიორგაძე, (ბოჭორიშვილი). ლეკვეიშვილი; თ. ცინცაძე, გაბაშვილი; ჭილაძე, (ჯულელი), ჭიპაშვილი, ბახტურიძე; ლაბაძე, ამზაშვილი (ა. გიგინეიშვილი), კ. ცინცაძე, ჩანქსელიანი (კაპ); ჭურღულაშვილი.

სტუ: ნოზაძე; ლიპარტელიანი, შამათავა, კომახიძე, ბრაგვაძე; ლ. ბეგენავა. (კაპ), გიორხელიძე; გიგაშვილი, გაფრინდაშვილი, პეტრიაშვილი (მ. გიორგაძე); ფირიაშვილი. ბერძენიშვილი, გოგეშვილი, კობახიძე; დიდებულიძე.

მსაჯი: მალხაზ კოროშინაძე (თბილისი).

წინა, მე-13 ტურში ორივე გუნდი დამარცხდა და მათ ამ შეხვედრაში პრესტიჟის აღდგენა სურდათ. ტრავმების გამო მეკოტეებს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდათ, მაგრამ განსაკუთრებით სტუ „დაზარალდა": განვლილ მატჩებთან შედარებით მესამე ხაზი მთლიანად შეცვლილი იყო, რამაც გაუძნელა მათ მორკინალებს სამმეოთხედელებთან დაკავშირება.

თავიდან ინიციატივას „ზოოვეტი" დაეუფლა, მაგრამ ანგარიში ვერ გახსნა. ტექნიკოსებმა დაიცვეს საკუთარი ლელო და პირველ ტაიმში მათმა დამრტყმელმა კობახიძემ, რომელიც მატჩის დღეს 20 წლის გახდა, ორი საჯარიმო შეაგდო და დააწინაურა თავისი გუნდი.

შეხვედრის განახლებისთანავე „ზოოვეტმა" სწრაფად გაათამაშა მარაო, შერკინების შემკვრელი ჭურღულაშვილი დროულად ჩაერთო შეტევაში და ეფექტური ლელო გაიტანა, რომელიც გარდასახა თ. ცინცაძემ.

თამაში უკიდურესად დაიძაბა. ორივე გუნდი ფრთხილობდა: საკმაოდ დიდი იყო შეცდომის ფასი მატჩის დასასრულს „ზოოვეტის" ლელოსთან დანიშნული შერკინების შედეგად წარმოქმნილი არეულობით ისარგებლა დიდებულიძემ, დაეუფლა ბურთს და ლელოც გაიტანა, რითაც უზრუნველყო ტექნიკოსთა გამარჯვება.

მერაბ ერისთავი.

• • •

ამ ტურის შეხვედრა „შევარდენი" — „გელათი" გაიმართება 8 ნოემბერს, ხოლო უძლიერესთა ჯგუფის მატჩი „აია"-„ასოციაცია" მოგვიანებით შედგება.

თორმეტი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება:

უძლიერესთა ჯგუფი

(1 — 4 ადგილები)

	თ	მ	ფ	წ	ქ
„ელმავალი"	9	9	0	0	18
„მიმინო"	12	8	1	3	17
„ასოციაცია"	12	8	1	3	17
„აია" (ქუთ)	9	8	0	1	16

სანუგეშო ჯგუფი

(5 — 12 ადგილები)

„გელათი" (ქუთ)	13	8	0	5	16
„იმერეთი" (ჭიათ)	14	7	1	6	15
„აკადემია"	14	6	1	7	13
სტუ	13	6	0	7	12
„შევარდენი"	13	5	0	8	10
„ზოოვეტი"	14	3	0	11	6
„სათაფლია" (წყ)	13	3	0	10	6
„უნივერსიტეტი"	14	2	0	12	4

მომდევნო ტურში, დღეს „ზოოვეტი" უმასპინძლებს „შევარდენს", ხოლო ხვალ „გელათი" მიიღებს „აკადემიას", „უნივერსიტეტი" — „იმერეთს", ხოლო სტუ — „სათაფლიას".



მორიგი ხრიკის მოლოდინში

საქართველოს რაგბის კავშირის გაწევრიანების საკითხს რაგბის საერთაშორისო საბჭოში (ირბ), ეს ორგანიზაცია ოქტომბერში განიხილავს. რა შეიცვალა მაისის შემდეგ, რაც ირბ-ში განხილვისას ამ საკითხის გადაწყვეტა ოქტომბრისთვის გადაიდო?

მას შემდეგ, რაც საკავშირო ფედერაციამ სცნო საქართველოს რაგბის კავშირის (სრკ) დამოუკიდებლობა და ზიმბაბვეში საქართველოს დელეგაციის მოლაპარაკებამ ბატონ ფრიც ელოფთან ნაყოფიერად ჩაიარა, ლონდონიდან ჩვენ იმედისმომცემ ინფორმაციას ვიღებდით. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, იცოდა ცენტრმაც, მაგრამ იგი აქტიურ ჩარევას ვერ ბედავდა, რადგან, ჯერ ერთი, თვითონ აღიარა სრკ-ის დამოუკიდებლობა, მეორეც, საკავშირო ფედერაცია არ არის ირბ-ს წევრი და არ ჰქონდა არავითარი იურიდიული უფლება ჩვენ წინ აღგვდგომოდა. ხოლო, როცა საქართველოს რაგბის კავშირის ირბ-ში გაწევრიანების შესაძლებლობა რეალური გახდა, ცენტრი სწრაფად ამოქმედდა. პირველი, რაც მან გააკეთა, ის იყო, რომ ირბ-ს შტაბბინაში აფრინა ტელექსი თხოვნით — საკავშირო ფედერაცია მიგვიღეთ თქვენს რიგებშიო. შემდეგ კვლავ გაგზავნა მეორე ტელექსი ანალოგიური თხოვნით. თან აცხადებდა, სრკ-ის გადაწყვეტილება ნაადრევი გვგონია და საბჭოთა კავშირში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს წინ უსწრებსო. და, რა თქმა უნდა, თავისი ცნობილი „ალიბიც" გამოიყენა — „ერთი ქვეყანა, ერთი ფედერაცია".

ამ ტელექსმა არა მარტო ჩვენი, არამედ რუსეთის, უკრაინისა და ლატვიის ფედერაციების წარმომადგენლების დიდი აღშფოთება გამოიწვია. შეიძლება ისე მოხდეს, რომ ირბ-მ მიიღოს საკავშირო ფედერაცია თავის რიგებში, ჩვენ კი არა. დავიწყეთ მოლაპარაკება ზემოაღნიშნული რესპუბლიკების ფედერაციებთან და ერთობლივად გამოვნახეთ გზა, რომელიც, ვფიქრობთ, უპასუხებს დღეს არსებულ სიტუაციას. ამას წინათ თბილისში ჩამოვიდა რუსეთის ფედერაციის ოფიციალური წარმომადგენელი ს.. ჩეჩენკოვი და ჩვენ ერთად შევიმუშავეთ წერილის პროექტი, სადაც სრკ და რუსეთის ფედერაცია მოუწოდებენ სხვა რესპუბლიკებს. შექმნან ახალი, სუვერენული რესპუბლიკების დამოუკიდებელი ფედერაციების კავშირი, რომლის პრეზიდიუმი შედგება რესპუბლიკური ფედერაციების პრეზიდენტებისაგან. თითოეული რესპუბლიკის პრეზიდენტი მორიგეობით ერთი ან ორი წლით უხელმძღვანელებს კავშირს, რომელიც ფუნქციებს ასე გაანაწილებს: პირობითად ერთ წელს საქართველო უხელმძღვანელებს ამ კავშირის ეგიდით გამართულ უმაღლესი ლიგის ღია ჩემპიონატს, რუსეთი — პირველ ლიგას, უკრაინა — ბავშვთა და მოზარდთა პირველობებს, ლატვია — კავშირის თასს და ა. შ. მომდევნო წელს რესპუბლიკები შეიცვლიან ფუნქციებს. გათვალისწინებულია ეროვნული ჩემპიონატების ჩატარება, შემდეგ რესპუბლიკების საუკეთესო გუნდები გამოვლენ ღია ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში, აგრეთვე ოფიციალურ ტურნირებში რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს შორის. ცალკე პუნქტად არის ხაზგასმული, რომ რესპუბლიკებს აქვთ უფლება მიმართონ საერთაშორისო ორგანიზაციებს და გახდნენ მათი სრულუფლებიანი წევრები. ამასთან დაკავშირებით, მომზადდა დოკუმენტი ირბ-სა და ფირა-ს სახელებზე. სადაც რუსეთის, საქართველოს, უკრაინის, ლატვიის, უზბეკეთის და ყაზახეთის ფედერაციები (დანარჩენ რესპუბლიკებში რაგბი არაა განვითარებული) სთხოვენ ამ ორგანიზაციებს, განიხილონ მათი იქ გაწევრიანების საკითხი.

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ბატონმა ალექსი გოცირიძემ უკვე მოაწერა ხელი ამ წერილებს. შემდეგ რუსეთი მოაწერს ხელს, მერე კი მე და ს. ჩეჩენკოვი გავემგზავრებით რიგაში ლატვიელებთან, იქიდან ჩავალთ ვილნიუსში და შევხვდებით ლიტვის ფედერაციის ხელმძღვანელობას, რადგან მათი საკითხი პოლიტიკური ვითარების გამო განსაკუთრებულია. ჩავალთ კიევშიც (უკრაინის ფედერაციისგანაც გვაქვს წინასწარი თანხმობა). თუ ამ ოთხმა ფედერაციამ ხელი მოაწერა წერილებს, მივმართავთ ყაზახეთის და უზბეკეთის ფედერაციებს და, ვფიქრობთ, არც ისინი იტყვიან უარს.

ამ დოკუმენტებზე ხელის მოწერა, ფაქტიურად, დღევანდელი საკავშირო ფედერაციის დაშლას ნიშნავს და , ალბათ, ცენტრის ახალ ხრიკებსაც უნდა ველოდოთ. ვნახოთ, რა მოხდება!

დავით კილასონია,
საქართველოს რაგბის კავშირის მდივანი.

◆ ◆ ◆

ჟამი ფიქრისა. ჟამი განსჯისა

ერთი სკოლის იმედით?..

საქართველოში ხელბურთი წლების მანძილზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა. რესპუბლიკის პირველი გუნდი წარმატებით ასპარეზობდა საკავშირო და ევროპულ სარბიელზეც კი. გუნდში ყოველთვის გვყავდა აღიარებული ლიდერები, რომლებიც საბჭოთა კავშირის ნაკრების წამყვან მოთამაშეებად ითვლებოდნენ. ქომაგიც ბევრი ადევნებდა თვალს ჩვენი გუნდის ასპარეზობას. სამწუხაროდ, ეს იყო წინათ. ბოლო წლებში კი ქართულმა ხელბურთმა პოზიციები დათმო; როგორც მკითხველმა იცის, ჩვენს საუკეთესო გუნდს უმაღლესი ლიგის დატოვებაც კი მოუხდა. უკან დაბრუნებას კი ორი წელი დასჭირდა.

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ჩვენმა გოგოებმა და ვაჟებმა ბრწყინვალედ იასპარეზეს. განსაკუთრებით გოგოებმა, რომლებმაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს და პირველად 1965 წლიდან. რა დროიდანაც ხელბურთი შეიტანეს სპარტაკიადის პროგრამაში, ჩემპიონობა მოიპოვეს. ყველაზე დიდი წარმატება, რაც კი მანამდე ჰქონია ჩვენი რესპუბლიკის გოგოების გუნდს, გახლავთ 1972 წელს დაკავებული IV ადგილი. 1984 წლის სპარტაკიადაზე ჩვენი გუნდი XVI ადგილზე გავიდა.

წინსვლა აშკარაა, თუმცა, თუ ნაკრების შემადგენლობის მიხედვით ვიმსჯელებთ, იგი, ფაქტიურად, თბილისელი სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული, კერძოდ, თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ხელბურთის სპეციალიზებული სკოლის აღსაზრდელებით (დირექტორი — ზაზა დოლიძე). ქალთა ხელბურთში კიდევ ერთ წარმატებას მიაღწიეს თბილისის „ქარიშხალას" ხელბურთელებმა. რომლებიც ახალ სეზონში პირველ ლიგაში იასპარეზებენ.

— ჩვენი ძირითადი დასაყრდენი გლდანის სპეციალიზებული ხელბურთის სკოლაა — გვითხრა სპარტაკიადის დაწყებამდე „ქარიშხალას" გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ალექსანდრე ხუციშვილმა — სხვა რეგიონებიდან შევსება თითქმის არ მოგვდის. ადრე ამ მხრივ შედარებით უკეთესად იყო საქმე. ამჟამად კი სხვა ქალაქებში გახსნილმა ხელბურთის ჯგუფებმა, ჩვენდა სამწუხაროდ, ყველგან დათმეს პოზიციები, განსაკუთრებით თვალში საცემია იქაურ მწვრთნელთა დაბალი კვალიფიკაცია. ახლო მომავალში ისევ გლდანის ხელბურთის სკოლის იმედით ვართ.

ამასვე ადასტურებს წარსულში ყველასათვის კარგად ცნობილი ჩვენი გუნდის მოთამაშე ამბერკი ტაბიძე: „ჩვენი რესპუბლიკის თერთმეტ ქალაქში მუშაობენ ხელბურთის ჯგუფები. რომლებსაც ოცდაორი მწვრთნელი ხელმძღვანელობს, მაგრამ მათი მუშაობის ნაყოფიერება ძალიან მცირეა. გოგოების გუნდში მოსწავლეთა სპარტაკიადაზე მხოლოდ ერთი მოთამაშე გვყავდა მოწვეული — წყალტუბოდან. თუმცა უფრო დაბალ ასაკში არიან იმედისმომცემი ბავშვები რაიონებიდანაც. რეგიონებში ბაზების მდგომარეობაც არასახარბიელოა, ოთხხუთ ქალაქში კიდევ არა უშავს, სხვაგან... უფრო პატარებთანაც გვმართებს აქტიური მუშაობა. მიღწეული შედეგი კი კარგია, მაგრამ იგი ბოლომდე არ გვაკმაყოფილებს".

— აუცილებელია რაიონებში პერსპექტიული ბავშვების მოძიება და მათთან მუშაობა — გვითხრა ზაზა დოლიძემ — თუმცა ერთხელ შევძელით და მივაღწიეთ წარმატებას ერთი სკოლის ერთადერთი ჯგუფით, მაგრამ, მოდით, ცოტა წინ გავიხედოთ, შევძლებთ მომავალში ასეთ საფუძველზე უფრო მაღალი მწვერვალების დაპყრობას?

სპარტაკიადის დღეებში მაყურებელთა სიმცირე ზაფხულის პერიოდს დავაბრალეთ, მაგრამ აქვე გამახსენდა შარშანდელი თბილისის საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზზე, რომელსაც თითო-ოროლა მაყურებელი თუ ესწრებოდა. გასაგებია, რომ საკავშირო პირველი ნაკრების გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ ამგვარი ასპარეზობები ხომ თითქმის გაკვეთილის ტოლფასია დამწყები სპორტსმენისთვის. იქნებ ამ საკითხზეც დაფიქრდნენ ჩვენი მწვრთნელები? ასევე, თითქმის ცარიელი ტრიბუნების წინ ჩატარდა ახლახან უმაღლესი ლიგის თბილისის ტურის შეხვედრები, რომელსაც „ვიწრო წრე" ადევნებდა თვალს.

განვლილმა სპარტაკიადამ კიდევ ერთი პრობლემა დაგვანახვა. ეს გახლავთ ღია მოედნის საკითხი. მართალია, გლდანში, სპორტსკოლის ტერიტორიაზე, მალე ჩადგება მწყობრში ღია მოედანი. მაგრამ სიშორის გამო იქ ყველა მსურველი ვერ შეძლებს მისვლას. სპორტის ყველა სახეობის პოპულარიზაცია და ბავშვების მიზიდვა კი მოგეხსენებათ, მისი ნახვის შემდეგ იწყება.

გია ბურდული

„სპორტპროგნოზი", 42-ე ტირაჟის პროგრამა (19-21 ოქტომბერი)

		პროგნოზი		
სსრ კავშირის ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)				
1. „დინამო" (რიგა) — „სოკოლი" (კიევი)	19.X	60	30	10
2. „სპარტაკი" (მოსკოვი) — „ტრაქტორი" (ჩელიაბინსკი)	21.X	60	30	10
3. „ტორპედო" (ნიჟნი ნოვგოროდი)—„ავტომობილისტი" (სვერდლ.)	21.X	30	50	20
4. „დინამო" (რიგა) — „კრილია სოვეტოვი" (მოსკოვი)	21.X	10.	40	50
5. „ხიმიკი" (ვოსკრესენსკი) — „დინამო" (მოსკოვი)	21.X	30	30	40
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)				
6. ცსკა — „სპარტაკი" (მოსკოვი)	20.X	30	60	10
7. „არარატი" (ერევანი) — „დინამო" (კიევი)	20.X	20	70	10
8. „ტორპედო" (მოსკოვი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)	20.X	50	40	10
9. „როტორი" (ვოლგოგრადი) — „დინამო" (მოსკოვი)	20.X	20	30	50
10. „დინამო" (მინსკი) — „პამირი" (დუშანბე)	20.X	60	30	10
11. „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „მეტალისტი" (ხარკოვი)	20.X	50	40	10
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)				
12. „დინამო" (სოხუმი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი)	21.X	20	70	10
იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში				
13. „ნაპოლი" (ნეაპოლი) — „მილანი" (მილანი)	21.X	40	50	10

ქართული პრესა წერდა...

ქართული ჭიდაობა

„**გლდანელი**, რომელმაც ამ ცოტა ხანში მთელ საქართველოში ფალავნის სახელი გაიგდო, გუშინ დასცა ერთმა შახნაზელმა ბიჭმა, მიხეილ ატამაშვილმა. მართალია აქამდე გლდანელმა ბევრი კაი მოჭიდავე ბიჭი წააქცია, ბევრჯერ ვნახეთ მისი ჭიდაობა, მაგრამ ეს აზრი გამოვიტანეთ, რომ გლდანელი, თუმცა კაი მოჭიდავეა, მაგრამ ნამდვილი ფალავანი კი არ არის, როგორც იყო ხიზამბარელი. უფრო სიმარდით და ცბიერებით წააქცია ბევრი, მინამ ღონით და ფალავნური წესით. გარდა ამისა, გლდანელი ქალაქში ჭიდაობდა, სადაც ქომაგი ბევრი ჰყავს და სოფლიდან მოსული ხამი კაცისთვის კი ძნელია ჭიდაობა. ნამდვილი ფალავნური ხერხი კისრული კი გლდანელს დუმაში ვერ მოსდის ხოლმე, თუმცა, მართალია, სარმა მოუცადი აქვს. გუშინ „იტალიის" ბაღში დიდძალი ხალხი მოაწყდა, ასე რომ ტევა აღარ იყო. გლდანელმა პირველ შეტაკებაზედვე კისრულით წამოიღო და ვერ გადმოიტანა. როდესაც ადგნენ, გლდანელმა ხელმეორედ წამოიკიდა, მაგრამ შახნაზელი ზევიდან ჩაგრა დააწვა, ცალი ხელი ფეხში წაავლო დაააყირავა, მაგრამ გადაბრუნება არ დააცალეს. შეიქნა საშინელი ჩოჩქოლი და ხელმეორედ დაიტაკნენ, მაგრამ მაინც შახნაზელმა სძლია. გლდანელის მომხრენი თავის ფალავანს გალახულად არა სთვლიან და მეორედ აპირებენ დაჭიდებას. სასურველია, რომ შახნაზელმა და გლდანელმა ერთხელ კიდევ სცადონ ერთმანეთი და ამ ახალგაზრდა მოჭიდავის სახელი უბრალოდ არ გაფუჭდეს".

„დროება", 1883 წ. 18 მაისი (№88)

დიდება შენდა, ბატონო ბორის!

საქართველოს ზეცაზე მეხივით გადაიქუხა:

ბორის პაიჭაძე გარდაიცვალა!

სამად სამი სიტყვაა, მაგრამ რამდენ ძნელია ჩვენთვის, თითოეული ქართველისთვის ამ სიტყვათა შინაარსში ჩაწვდომა: ორიოდე დღის წინ ცოცხალი გვყავდა, სუნთქავდა ბორის პაიჭაძე, ადამიანი — ლეგენდა, კაცი — გმირი, ქართული სპორტის სინდის-ნამუსი, მისი მშვენება, მისი ღირსება, მისი დიდება.

75 წელი მოათავა ამ დალოცვილმა, ღვთისნიერმა ადამიანმა და, სანამ ის მზაკვარი ავადმყოფობა აგრერიგად თავს არ იჩენდა, არავის ეგონა, თუ დარჩენილი დღეები მას ასეთი ხანმოკლე ექნებოდა. მადლიერმა ერმა ღირსეული იუბილეს გადახდაც ვერ მოასწრო. სულ იმის იმედი გვქონდა, რომ ავადმყოფობა უკან დაიხევდა და 75 წლისთავსაც ისეთივე ზეიმით აღვნიშნავდით, როგორც ვიზეიმეთ უწინ, სხვა მისი ღირსშესანიშნავი თარიღების დროს.

მაგრამ შევცდით. ბედუკუღმართმა განგებამ ხელიდან გამოგვაცალა ქართული სპორტის ეს მშვენება.

ფეხბურთი საქართველოში მარტო ფეხბურთი როდია. ფეხბურთს ეტრფიან მრავალნი და მრავალნი, ლეგიონებია ფეხბურთის მოყვარულთა რიცხვი და, როგორც ჩანს, სულაც არაა სავალდებულო სტადიონზე იაროს კაცმა, თუკი მას შეგნებული აქვს ქართველთათვის ფეხბურთის მადლი და ღირსება, მისი დიდი მნიშვნელობა, გამარჯვებებით მოგვრილი სიხარულის დიდი სიკეთე. აგერ ბარემ 70 წელია სასოებით ვქმნიდით და სახელოვანი გზით მიგვყავდა საქართველოს პირველი საფეხბურთო გუნდის საქმენი. სიძნელე, იმთავითვე დაწყებული, უამრავი გვქონდა და, რომ არ ყოფილიყვნენ ისეთი ღირსეული ადამიანები, რომელთაგან ბორის პაიჭაძე უპირველესია, ჩვენს სახელოვან პირველ გუნდსაც ვერ შევქმნიდით. მრავალი სიძნელის გადალახვა დასჭირდა მას, მრავალჯერ შავი დღეც დასდგომია, მაგრამ მაინც მიაღწია თავის უმაღლეს მწვერვალებს, მიაღწია საკავშირო ჩემპიონობას, საკავშირო თასს, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასს, მიაღწია საერთაშორისო აღიარებას და ავტორიტეტს, მიაღწია იმას, რომ ქართველთა უპირველეს გუნდში დღენიადაგ გამოდიოდნენ ტყავის ბურთის უბადლო ოსტატები, რომელთა შორის უპირველესი ყოველთვის იყო, არის და იქნება ბორის პაიჭაძე, მწვანე მინდვრის იგავმიუწვდომელი დიდოსტატი, ვირტუოზთა ვირტუოზი, ბურთის არტისტიზმის შეუდარებელი ხელოვანი.

აგერ უკვე 50 წელია მინდორზე არ გამოსულა ბორის პაიჭაძე და, რაღა თქმა უნდა, ცოცხალთა შორის ბევრიც აღარ დარჩა მისი ნატიფი ხელოვნების, მისი უმაღლესი ოსტატობის მხილველი. ბორის პაიჭაძე საფეხბურთო მორევში ცხოვრობდა, მთელი თავისი სიცოცხლით, თავისი თამაშის მანერითაც იგი მუდამ ყველაზე „ცხელ წერტილებში“ იბრძოდა. ბორის პაიჭაძის წინააღმდეგ ერთი და ორი მეტოქე ვერას გახდებოდა, იგი თვით იყო დამწყებიც, გამგრძელებელიც და დამამთავრებელიც. ფასდაუდებელია ის ღვაწლი, რომელიც ბორის პაიჭაძემ დასდო ქართულ ფეხბურთს. სწორედ ფეხბურთის ძველ გულშემატკივრებს ეხსომებათ რა ამბავი იყო მწვანე მინდორზე, როცა მეტოქეები არაფერს ერიდებოდნენ და წამდაუწუმ გაისმოდა: „დაიჭით პაიჭაძე, დაიჭით პაიჭაძე, დაიჭით პაიჭაძე...“

და მაინც ვერ იჭერდნენ. ვის რა ხერხი არ ჰქონდა გამონახული პაიჭაძის დასაჭერად, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო და არც ისეთი შემთხვევა ყოფილა, რომ იმ ორი ათეული წლის განმავლობაში, რაც ბორის პაიჭაძე ლაღად დანავარდობდა მინდორზე, მას შურისძიების ოდნავი სურვილი ჩარჩენოდა გულში, მცირედით მაინც პასუხი გაეცა მასზე უაღრესად მონადირეთათვის. უმძიმესი პირადი ტრაგედიაც უდრტვინველად გადაიტანა.

იყო ამაყი, გოროზი, ალალი, პატიოსანი კაცი. ბორის პაიჭაძეს ჯერ არც ერთი მეტოქისთვის ფეხი არ მოურტყამს, არც რამე უხეშობით უპასუხია. იგი ბურთს თამაშობდა და ბურთის თამაშში ახერხებდა თავისი საოცარი ვირტუოზობის საოცარ გამოვლენას.

ზეციური ნიჭით, ხალასი, შეუდარებელი, უნაკლო ნიჭით დაჯილდოებული იყო ბორის პაიჭაძე, მის საფეხბურთო თავისებურებას, მინდორზე მის საქციელს ბადალი არ მოეძებნებოდა. სწორუპოვარ ფორვარდს მუდამ ხელისგულზე დაატარებდა ყველა, ვისაც კი ფეხბურთი უყვარდა, ვისაც კი ფეხბურთი იტაცებს, ვისაც კი ფეხბურთი სწამს.

საქართველოს ჰყავდა დიდი მეცნიერები, დიდი მწერლები, დიდი პოეტები, დიდი მხატვრები, დიდი არტისტები, საქართველოს მუდამ ჰყავდა დიდი სპორტსმენები და ამ სპორტსმენთა შორის პირველი იყო, არის და იქნება ბორის პაიჭაძე.

დიდება შენდა, ბატონო ბორის!



ეს სურათი თბილისის „დინამოს“ სტადიონზეა გადაღებული. ეს იყო ომის შემდგომი პერიოდი. თბილისის „დინამო“ თავის ერთ-ერთ უძველეს და ღირსეულ მეტოქეს ცსკა-ს ღებულობდა.

მინდორზე თითქოს ღირსშესანიშნავი არაფერი ხდება: თეთრი მაისურით გარღვევაზეა ბორის პაიჭაძე. ერთი შეხედვით, ტრაფარეტული ეპიზოდია, მაგრამ საინტერესოა ის, თუ რა ვითარებაში გავიდა ჩვენი სახელმოხვეჭილი ფორვარდი ამ ღია პოზიციაში: მან ზურგს უკან მოიტოვა ბრგე მოყვანილობის, ახოვანი სამი არმიელი მცველი და ახლა პარტნიორთან ბურთის გათამაშებით მიისწრაფვის მექოტის კარისკენ. ამ მოძრაობაში კარგად ჩანს ბორის პაიჭაძე მთელი თავისი ლაღი ნატურით. დაუოკებელი სწრაფვითა და შესანიშნავი ოსტატობით.

„ლელოს“ რედაქციას

სულითა და გულით განვიცდით ქართველი ხალხის საყვარელი შვილის, ლეგენდარული ფეხბურთელის — ბორის პაიჭაძის გარდაცვალებას. ბორის პაიჭაძე ერის ღვიძლი შვილი იყო, ამიტომაც ხალხის საყოველთაო სიყვარულს შესაფერისი გამოსახვა ესაჭიროება. წინადადება შემოგვაქვს თბილისის ეროვნულ სტადიონს ეწოდოს ბორის პაიჭაძის სახელი. აქვე დაიდგას მისი ძეგლი. ვფიქრობთ, ჩვენს წინადადებას მრავალზე მრავალი მხარდამჭერი ეყოლება.

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორები:
ზურაბ ანჯაფარიძე, ნოდარ ჯაფარიძე, ზაქარია ხუროძე, გულბათ ტორაძე, არჩილ ჩიმაკაძე. ანტონ წულუკიძე.

ბურთი, დედამიწის გლობუსი!

ბატონო ბორის! ამ წუთისოფელში გამარჯვებული და ვალმოხდილი მიდიხართ მეორე სოფელს, მარადიულს... ბევრიც გაწყენინეთ. გვაპატიეთ უბრალო მოკვდავთ.

რა გავიხსენო? რამდენი ერთი, ის, რომ არსენასავით მტრედის გუნდივით დაგდევდა მთელი უბანი და მთელი ქალაქი, თუ ის, ბავშვივით გულუბრყვილო და მორიდებული რომ იყავით!

თქვენ საქართველო იმდენჯერ გამითავისუფლეთ, რამდენჯერაც დასეტყვეთ კარი მოწინააღმდეგისა.

რა არ შეგარქვეს: „ტყავის ბურთის კარუზოო, პაგანინიო, სააკაძეო“, მინც, თქვენ ბორის პაიჭაძე იყავით და კმაროდა ეს გვარი და სახელი ქართველთათვის საამაყოდ.

თქვენსავით დადიოდნენ, თქვენსავით იდგნენ, თქვენსავით ეცინოდნენ, გბაძავდნენ ყველაფერში, მაგრამ მთავარში ვერა, იმ მთავარს დიდი ხელოვანის ვირტუოზობა სჭირდებოდა.

ვიხსენებ და მიხარია, რომ ჩვენ ბევრგზის ვყოფილვართ ერთად ჭირში და ლხინში, თბილისში, მოსკოვში, კიევში, ლენინგრადში, ტაშკენტში, შორსაც — ჰოლანდიაში. აქ, საქართველოს უპირველეს გუნდს თბილისის „დინამოს“ ვახლდით. აი, ამსტერდამი, ერთად ვსხედვართ: თქვენ, თენგიზ ჩანტლაძე, გიგლა ფირცხალავა, გურამ ფანჯიკიძე და მე. მადლობა უფალს, საბედნიეროდ ერთი მოწმე მაინც შემომრჩა იმ ამბის მომსწრეთაგან.

გავიხსენებ თქვენს სიტყვებს: „ძმებო, ფეხბურთი ჩემთვის მთელი სამყაროა, ბურთი გლობუსია დედამიწისა, და მივშტერებივარ მხოლოდ იმ ადგილს, სადაც საქართველოა გამოხატული, საქართველო, რომლის შესახებაც ცოტამ თუ იცის მსოფლიოში“.

მამულიშვილო, ტკივილიანო და ავკარგიანო კაცო, დღეს ჩვენც იმ ადგილს მივშტერებივართ, სადაც საქართველოა შემორაგულ-შემოსაზღვრული და ცრემლებით ვამბობთ: „მამულო, საყვარელო, შენ როსღა აყვავდები?“

მშვიდობით, მაგრამ ნუგეში ისაა, რომ კაი ხალხთან მიდიხარ, იქეთა საქართველო უფრო ძლიერია.

იქეთა საქართველო უფრო თავისუფალია!

ჯანსუღ ჩარკვიანი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „დილა“ (გორი) 1:0 (1:0).

ხაშური. „ივერიის“ სტადიონი. 10 ოქტომბერი.

„კოლხეთი-1913“: გვახალია, კაკაჩია, ქაჯაია, გიორგაძე, გიგატაძე, შამათავა, თოფურია, მახარაძე, ჭყონია (თიბილაშვილი), თვარაძე (ტორჩინავა), ავრამიდისი.

„დილა“: ჩოჩიევი, კონდრატიევი, გაგნიძე, ქობესოვი, ანიაშვილი, მელქაძე (ბალაბანოვი, მჭედლიშვილი), მარეხაშვილი, მიხანაშვილი, მარლიშვილი, ნეფარიძე, ხორგუაშვილი (შავდათუაშვილი).

მსაჯები: ე. ხილაგავა, რ. ვერულაშვილი, შ. ბერიძე (სამივე — თბილისი).

გააფრთხილეს მიხანაშვილი.

ფოთელებს „დილა“ ჯერ კიდევ 23-ე ტურში, 1 სექტემბერს უნდა მიეღოთ შინ, მაგრამ მატჩი გადაიტანეს და, რადგან ახლა ფოთის სტადიონი 2 თამაშითაა დისკვალიფიცირებული, თამაში ხაშურში გაიმართა.

შეხვედრა დაძაბული და საინტერესო გამოდგა. მატჩი ორიოდე წუთის დაწყებული იყო, როდესაც ფოთელებმა გვერდითი ხაზიდან შემოტანილი ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდეს. აქ უხეშად ეთამაშნენ თოფურიას და მსაჯმა 11-მეტრიანი დანიშნა, რომელიც უნაკლოდ შეასრულა თვარაძემ. გაშვებული გოლის შემდეგ გორელი ფეხბურთელები გააქტიურდნენ და მთელი ორივე ტაიმის განმავლობაში ფლობდნენ ტერიტორიულ უპირატესობას, თუმცა ეს უპირატესობა ანგარიშში არ ასახულა. რამდენჯერმე შეექმნათ ხელსაყრელი პოზიცია ხორგუაშვილსა და ნეფარიძეს, მაგრამ გვასალიას კარი აუღებელი დარჩა.

1:0 — ასეთი ანგარიშით დამთავრდა ეს შეხვედრა. მორიგი 3 ქულა მოიპოვა „კოლხეთი-1913“-მა და პირველ ხუთეულში მოხვედრის შანსი გაუჩნდა.

გიორგი გოგოლაძე
„ლელოს“ კორ.

I ჯგუფი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები I ჯგუფის გუნდებს შორის: „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 1:1, „შუქურა“ (ქობულეთი) — „კახეთი“ (თელავი) — 2:0, „იმერეთი“ (ხონი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 3:0, „საპოვნელა“ (თერჯოლა) — „სიხარული-90“ (გაგრა) 1:0, ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი)—„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 2:1 „დურუჯი“ (ყვარელი) — „სქური“ (წალენჯიხა) 4:2; „ქართლი“ (გორის რ-ნი) — „არაგვი“ (დუშეთი) 2:2, „არმაზი“ (მცხეთა) —ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 0:1, —„ალაზანი“ (გურჯაანი) —„სულორი“ (ვანი) 1:2.

საქართველოს თასზე

„იბერია“ (თბილისი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 0:1 (0:1).
თბილისი. ეროვნული სტადიონი. 10 ოქტომბერი.

„იბერია“: ხაპოვი, არზიანი, ცხადაძე, ჰედია, ჯიშკარიანი, რევიშვილი (ჯამარაული), ქეცბაია. ჩიქოვანი, კაჰარავა (ყაველაშვილი), გურული, გოგიჩაიშვილი (ნემსაძე).

„გურია“: ქანთარია, ტყებუჩავა, გუჯაბიძე, კაბისაშვილი, მაჟეიკასი, ცომაია. მიქაბერიძე, ფრიდრიკასი (უგრელიძე). კორღალიძე (ქურიძე), ფრიდონაშვილი, ჩხაიძე.
მსაჯები: ვ. შელია, რ. ჩიქოვანი, ს. პრავოვი (სამივე — გაგრა).

გააფრთხილეს: გ. გუჯაბიძე, დ. ცომაია („გურია“).

ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობის პირველ წელს ყოველ გამარჯვებას სხვა ფასი აქვს, ეროვნულ ჩემპიონატში იქნება ეს თუ სათასო მატჩში. პირველი ჩემპიონითა და პირველი თასის მფლობელით გადაიშლება ჩვენი ფეხბურთის ისტორიის ახალი ფურცლები. ამიტომ სეზონის მიწურულს ყოველმა შეხვედრამ უფრო მეტი სიმწვავე შეიძინა. ასეთი იყო მატჩი თბილისის ეროვნულ სტადიონზე, რომელშიც საქართველოს თასის პირველ ნახევარფინალურ მატჩში თბილისის „იბერიამ“ ლანჩხუთის „გურიას“ უმასპინძლა. ორივე გუნდი ლიდერთა ჯგუფშია და ამდენად ჯერ კიდევ ინარჩუნებს „დუბლის გაკეთების“ შანსს. ლანჩხუთელებს შედარებით შესუსტებული შემადგენლობით მოუხდათ მოედანზე გამოსვლა. მიუხედავად ამისა, მათ მასპინძლებს პირველი წუთებიდანვე სწრაფი ტემპი შესთავაზეს და იერიშებიც მიიტანეს „იბერიის“ კარზე. ჯერ კაბისაშვილმა განახორციელა კარგი რეიდი, შემდეგ ორჯერ ზედიზედ ტყებუჩავას შორი მანძილიდან ძლიერად დარტყმული ბურთი ასცდა კარს, მერე ფრიდონაშვილმა იმარჯვა, მაგრამ ხაპოვთან მისი დუელი თბილისელთა კარის დარაჯის გამარჯვებით დასრულდა. მასპინძელთა შეტევებს უფრო ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა, თუმცა ცხადაძე, ქეცბაია, ჰედია, რევიშვილი ხშირად ტრიალებდნენ „გურიის“ საჯარიმოსთან, მაგრამ ისინი შეტევის ბოლო ფაზაში სასურველ სიზუსტეს ვერ იჩენდნენ.

შეხვედრის 31-ე წუთზე გააზრებული შეტევა წამოიწყო ფრიდონაშვილმა, მან კარგი პასი მისცა კორღალიძეს, ამ უკანასკნელმა კი დროზე შეამჩნია უმეთვალყუროდ დარჩენილი მიქაბერიძე. რომელმაც ძლიერი დარტყმით ლამაზი გოლი გაიტანა მარცხენა დაბალ კუთხეში. უნდა აღინიშნოს, მიქაბერიძე ერთ-ერთი საუკეთესო იყო ამ დღეს გუნდში.

მიღებული გოლის შემდეგ იბერიელები უფრო გააქტიურდნენ, მაგრამ არც ამას გამოუღია შედეგი. გურული საგულდაგულოდ ჰყავდა „ჩაკეტილი“ ახალგაზრდა გოჩა გუჯაბიძეს, რომელიც, აქვე უნდა ითქვას. უხეშობდა კიდეც და სამართლიანად დაიმსახურა მატჩის არბიტრისაგან ყვითელი ბარათი.

„გურია“ არ ცხრებოდა, მიქაბერიძე, კორღალიძე, ცომაია, ტყებუჩავა შორი თუ ახლო მანძილიდან ცდილობდნენ მეორედ აეღოთ მასპინძელთა კარი. ამასთან, დაცვაშიც ზუსტად თამაშობდნენ და ამის დასტურად გვინდა გავიხსენოთ მეორე ტაიმის ერთი ეპიზოდი, როდესაც ცომაიამ შესანიშნავად განმუხტა იბერიელთა შეტევა, რომელიც ჰედიამ წამოიწყო.

იბერიელებს ჰქონდათ ანგარიშის გათანაბრების რეალური შანსი, როცა „გურიის“ კარში თერთმეტმეტრიანი დარტყმა დაინიშნა. ქანთარია ადგილზე დახვდა ბურთს.

1:0 — გაიმარჯვა „გურიამ“ და ახლა ყველაფერს 23 ოქტომბრის საპასუხო მატჩი გაარკვევს.

ინგა ჩახვაშვილი

საკავშირო პირველობაზე

11 ოქტომბერს მოსკოვში შედგა ფეხბურთში საკავშირო ჩემპიონატის მატჩი მოსკოვის „ტორპედოსა“ და „დინამოს“ გუნდებს შორის. თამაში დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით — 3:1.

შესარჩევი მატჩები

განვლილ ოთხშაბათს ევროპაში გაიმართა კონტინენტის საფეხბურთო ჩემპიონატის რამდენიმე შესარჩევი მატჩი.

I ჯგუფი. ესპანელმა ფეხბურთელებმა სევილიაში მიიღეს ისლანდიის გუნდი და, თუმცა მნიშვნელოვანი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, მხოლოდ მინიმალური სხვაობით მიაღწიეს გამარჯვებას — 2:1. სტუმრებმა ძლიერად ითამაშეს დაცვაში და პირველ ნახევარში ესპანელთა კაპიტნის ემილიო ბუტრაგენიოს გოლი ერთადერთი აღმოჩნდა. 64-ე წუთზე კარლოს მუნიოსმა მეორე გოლი გაიტანა, ისლანდიელები მხოლოდ ამის შემდეგ გადავიდნენ შეტევაზე, რომლის დროსაც სიგურდურ იონსონმა შეძლო ერთი ბურთის გაქვითვა.

III ჯგუფი. ნორვეგიელებმა ბერგენში მიიღეს უნგრეთის ნაკრები. დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 0:0. ნორვეგიელები ბევრს ეცადნენ, რამდენიმე ხელსაყრელი მომენტიც შექმნეს, მაგრამ ბრწყინვალედ ითამაშა უნგრელთა მეკარემ ზოლტ პეტრისმა. უნგრელთა ერთ-ერთი კონტრიერიშის დროს მათი თავდამსხმელი იოზეფ კირპიჩი უხეში ილეთით წააქციეს მასპინძელთა საჯარიმო მოედანზე, მაგრამ მსაჯმა 11-მეტრიანის დანიშვნა ვერ გაბედა.

ამ ჯგუფში 2 ქულით ლიდერობენ საბჭოთა ფეხბურთელები. უნგრელებს და ნორვეგიელებს თითო ქულა აქვთ, იტალიისა და კვიპროსის გუნდები ბრძოლაში ჯერ არ ჩაბმულან.

IV ჯგუფი. დანიელმა ფეხბურთელებმა კოპენჰაგენში მიიღეს ფარერის კუნძულების ნაკრები, რომელმაც ამას წინათ სენსაციური გამარჯვება მოიპოვა ავსტრიელებთან შეხვედრაში. მასპინძლები უკვე მე-8 წუთისთვის დაწინაურდნენ (მიხაელ ლაუდრუპი). 14 წუთის შემდეგ ალან მორტიორმა საპასუხო ბურთი გაიტანა, მაგრამ შემდგომში დანიელთა უპირატესობა აშკარა იყო. მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 4:1 (ლაუდრუპი, პოლსენი).

ფეხბურთის ამბები

● **ნორვეგიის** ქალაქ კრისტიანსანდის სტადიონზე განვლილ ოთხშაბათს გაიმართა ამ ქვეყნისა და უნგრეთის ოლიმპიელ ფეხბურთელთა გუნდების ოფიციალური შესარჩევი შეხვედრა. ნორვეგიელებმა მანამდე მოსკოვში ფრედ დაამთავრეს თამაში სსრ კავშირის ნაკრებთან — 2:2, ამჯერად კი მოუგეს უნგრელებს — 3:1 და ლიდერობენ ევროპის III შესარჩევ ჯგუფში.

● **გაიმართა** მეორე ფინალური მატჩი სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასზე („ლიბერტადორესის თასი"). ესაა კონტინენტზე ყველაზე უფრო პრესტიჟული შეჯიბრება სამხრეთ ამერიკაში. ერთმანეთს შეხვდნენ პარაგვაის „ოლიმპია" და ეკვადორის „ბარსელონა". ეს მატჩი ქ. გუაიაკილის სტადიონზე დამთავრდა ფრედ — 1:1. პირველი შეხვედრა „ოლიმპიას" მოგებული ჰქონდა ანგარიშით 2:0 და ორი შეხვედრის ჯამში იგი გახდა საპატიო პრიზის მფლობელი.

პარაგვაის „ოლიმპია" 9 დეკემბერს ტოკიოში საკონტინენტთაშორისო თასზე შეხვდება ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელს იტალიის „მილანს".

მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

მოზესი ზაფხულსა და ზამთარში

400 მეტრზე თარჯრბენში ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ამერიკელმა ედვინ მოზესმა საკმაოდ უცნაური ამოცანა დაისახა მიზნად: 1992 წელს ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიადებში თითო ოქროს მედლის მოპოვებას აპირებს. ჯერჯერობით ოლიმპიური თამაშების ისტორიაში „ორგზის ჩემპიონის" ტიტულს მხოლოდ ერთი სპორტსმენი ატარებს — მოზესის თანამემამულე ედი იგანი, რომელმაც 1920 წელს ანტვერპენის თამაშებში მოკრივეთა ტურნირი მოიგო, 1932 წელს ლეიკ-პლესიდში კი ბობსლეისტთა შეჯიბრებაში გახდა ჩემპიონი. მოზესს, თუ შეიძლება ასე ითქვას, იგანის შედეგის გაუმჯობესება აქვს განზრახული და ორი გამარჯვების მიღწევას ერთ წელიწადში აპირებს.

როგორც ცნობილია, 35 წლის მოზესმა სეულის ოლიმპიური თამაშების შემდეგ მძლეოსნური ბილიკიდან წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ შემდგომში გადაიფიქრა და ახლა ყველას არწმუნებს, რომ 1992 წლისათვის ჩინებულ ფორმაში იქნება. რეკორდზე იგი უკვე აღარ ფიქრობს, სამაგიეროდ ღრმად არის დარწმუნებული, რომ დისტანციას მოიგებს. ალბერვილის ზამთრის ოლიმპიადაზე კი იგი ძალებს ბობსლეისტთა შეჯიბრებაში გამოცდის.

მოზესს, როგორც მძლეოსანს, სპორტული სამყარო 1976 წლიდან იცნობს, როცა მონრეალის თამაშებში პირველი ოქროს მედალი დაიმსახურა, თანაც მსოფლიო რეკორდი დაამყარა თავის საყვარელ დისტანციაზე — 400 მეტრზე თარჯრბენში (47,64). 1980 წელს მან მოიგო ოლიმპიადისწინა შერჩევითი ტურნირი, მაგრამ ამერიკელებმა მოსკოვის თამაშებს ბოიკოტი გამოუცხადეს და მეორე ოქროს მედლის მოგების გეგმები გაურკვეველი დროით გადაიდო. 1982 წლის სეზონი მოზესმა გამოტოვა, ერთი წლის შემდეგ კი ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 47,02, რომელიც, სხვათა შორის, დღემდე ურყევად დგას.

1984 წელს ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე მან მეორედ გაიმარჯვა. 1977 წლის ჩათვლით თარჯრბენის ამ უბადლო ოსტატს 102 გამარჯვება აქვს მოპოვებული, რაც მძლეოსნობის ისტორიაში იშვიათი მაჩვენებელია. 1985 წლის სეზონი მოზესმა ტრავმის გამო გამოტოვა, ერთი წლის შემდეგ კი მსოფლიო ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი დაიმსახურა. სეულში ამერიკელი მძლეოსანი მესამე იყო, მერე კი ისევ დაშავდა და ორი წლით დასვენება გადაწყვიტა.

რაც შეეხება ბობსლეის, მოზესი აქ, ცხადია, ახალბედაა, თუმცა რაღაც გარკვეულ წარმატებებს უკვე მიაღწია. კერძოდ, მან გაიარა შესარჩევი შეჯიბრებების ციკლი 65 პრეტენდენტს შორის და მოხვდა თორმეტ უძლიერესში. ამ ცოტა ხნის წინ ბავარიის ალპებში გამართულ შეჯიბრებაში მოზესმა ოთხეულებში პირველი ადგილი დაიკავა (ცხადია, თანაგუნდელებთან ერთად), თანაც უკან ჩამოიტოვა გაერთიანებული გერმანიისა და ავსტრიის საკმაოდ ძლიერი კვარტეტები, ორადგილიანი ბობებით ასპარეზობაში კი პილოტ ბრაიან შივერთან ერთად მესამე იყო.

„გერმანელები და შვეიცარიელები მსოფლიო ბობსლეიში ბატონობენ იმიტომ, რომ ბობის გაქანებას მხოლოდ მძლეოსნებს ანდობენ, ჩვენ, ამერიკელები კი მძლეოსნებს არ ვიყენებდით და ამიტომაც 1956 წლის შემდეგ ვერც ერთხელ ვერ მოვიპოვეთ საპრიზო ადგილი" — განაცხადა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე მოზესმა. როგორც ხედავთ, ამერიკელ მძლეოსანს ოთხადგილიან ბობებში, ალბათ, სწორედ ციგის „გამქანებლის" ფუნქცია დაეკისრება. საამისოდ მას საკმაო ძალაც აქვს და, ცხადია, სისწრაფეც.

ყველაზე რეალური კანდიდატები

ამ ცოტა ხნის წინ გაგაცანით მსოფლიოს უძლიერესი სარაგბო გუნდი — ახალი ზელანდიის ნაკრები. ამჯერად წარმოგიდგენთ უდიდესი ტრადიციების მქონე კოლექტივს. რომელიც უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაძლიერდა და დღეისათვის ახალზელანდიელთა მთავარ კონკურენტად ითვლება. საუბარია „ხუთი ერის პირველობის" 10-გზის გამარჯვებულ შოტლანდიის მორაგბეთა ეროვნულ ნაკრებზე.

შოტლანდიის რაგბის კავშირი („სკოთიშ რაგბი იუნიონ") დაარსდა 1873 წელს. იგი უძველესია მსოფლიოში ინგლისის რაგბის კავშირის შემდეგ და 116 კლუბსა და 26 000 მორაგბეს აერთიანებს. პირველი კლუბები გასული საუკუნის 50-იან წლებში ჩამოყალიბდა. პოპულარობით რაგბი ქვეყანაში ფეხბურთს უტოლდება და ჭეშმარიტ ეროვნულ ფენომენს წარმოადგენს.

შოტლანდიელები პირველ თამაშებს მეზობლებთან — ინგლისელ და უელსელ მორაგბეებთან ატარებდნენ. თავიანთ უმთავრეს კონკურენტთან — ინგლისის ნაკრებთან მეტოქეობის ისტორია 119 წელიწადს ითვლის და მათი მატჩები ყოველთვის უშეღავათოდ მიმდინარეობს. ეს ორი გუნდი ერთმანეთთან პაექრობისას ათამაშებს ე. წ. „კალკუტის თასს", რომელიც წელს შოტლანდიელებს ერგოთ.

შოტლანდიური რაგბის „წარმატებათა გრაფიკი" საკმაოდ ცვალებადია, გუნდს ჰქონია როგორც აღზევების, ისე დაღმასვლის პერიოდები, ხოლო უკანასკნელ წლებში ნაკრები მნიშვნელოვნად გადახალისდა და აშკარა აღმავლობის გზაზეა, რასაც ადასტურებს მიღწეული შედეგები.

1987 წელს მსოფლიო თასის პირველ გათამაშებაში შოტლანდიელებმა ფრედ დაამთავრეს შეხვედრა ფრანგებთან, დიდი ანგარიშით დაამარცხეს ჩვენთვის კარგად ნაცნობი ზიმბაბველები და რუმინელები, მეოთხედფინალში კი დამარცხდნენ მომავალ ჩემპიონებთან — ახალზელანდიელებთან. სხვათა შორის, წელს ახალ ზელანდიაში სტუმრობისას „ლურჯებს" (როგორც ხშირად უწოდებენ შოტლანდიელებს) რევანშის აღების მშვენიერი შესაძლებლობა ჰქონდათ. მათ ორი ტესტ-მატჩი ჩაატარეს „ოლ ბლექსთან", ორივეს იგებდნენ, მაგრამ ბოლო წუთებზე რაღაც სასწაულით მაინც „მოახერხეს" დამარცხება. მიუხედავად წაგებისა, რაგბის ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ახალზელანდიელთა „მსოფლიო ბატონობას" შოტლანდიელთა სახით საფრთხე ემუქრება და გაისად მსოფლიო თასის მეორე გათამაშებაში „ლურჯები" გამარჯვების ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატები იქნებიან. მით უმეტეს, მათ ფინალამდე (თუ მიაღწიეს) ყველა თამაშის ჩატარება შინ, მარიფილდის სტადიონზე (72000 მაყურებელი) მოუხდებათ.

შოტლანდიელთა ბოლოდროინდელი წარმატებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია წლევანდელი „ხუთი ერის პირველობის" მოგება. „ლურჯებმა" რაციონალურად, ზედმეტი ენერგიის ხარჯვის გარეშე დაამარცხეს ყველა მეტოქე და გადამწყვეტ მატჩში ინგლისელებს აჯობეს — 13:7.

„ლურჯებს" არც ახალზელანდიელებივით ზორბა „შერკინება" და არც ფრანგებივით ხელით იდეალურად მოთამაშე უკანა ხაზი ჰყავთ. მათი კოზირია ძირითადი სათამაშო ღერძის — ჰუკერი-მესამე ხაზინახევარდაცვა-მცველი — სიმძლავრე და ზედმიწევნით გამოთვლილი, კომბინაციური მოქმედება ნებისმიერ სიტუაციაში. გარდა ამისა შოტლანდიელები ითვლებიან დაცვაში საუკეთესოდ მოთამაშე გუნდად. ყოველი მორაგბე უნაკლოდ ფლობს დაცვის მთავარ ელემენტს — შებოჭვას და ხშირად ამის წყალობითაც იგებს თამაშებს. ინგლისელებთან მატჩის შემდეგ ამ უკანასკნელთა კაპიტანმა უილ ქარლინგმა აღნიშნა, რომ ასეთი დაცვის დამარცხება ფაქტიურად შეუძლებელია.

შოტლანდიელთა მწვრთნელია საქვეყნოდ განთქმული იან მაქგიქანი. ცნობილი სარაგბო მიმომხილველის ბილ მაქლარენის თქმით: „ეს არის კაცი, რომელსაც ყოველთვის უამრავი იდეა აქვს და რომლის ხელმძღვანელობითაც ყველა მოთამაშეს სურს თავის გამოჩენა". მაქგიქანი თავკაცობდა „ბრიტანელი ლომების" (დიდი ბრიტანეთის ნაკრები) შარშანდელ ტრიუმფალურ ტურნეს ავსტრალიაში.

„ლურჯების" ნაკრებს ყოველთვის ჰყავდა უძლიერესი მცველები. ადრე ასეთები ენდი ირვინი და ფითერ დოდსი იყვნენ, ხოლო ახლა — მსოფლიოს სიმბოლური ნაკრებების „უცვლელი წევრი" — გევინ ჰესთინგსი. დაცვაში უშეცდომოდ მოთამაშე და დიდებული დამრტყმელი უნარიანად ხელმძღვანელობს უკანა ხაზს.

შოტლანდიელები ხშირად იცვლიან გარემარბებს, მაგრამ ბოლო შეხვედრებიდან გამომდინარე ამ ადგილებზე საბოლოოდ დამკვიდრდნენ გამოცდილი აივენ თუქალო და ახალბედა ტონი სთეინჯერი. თუმცა არც ვეტერანებს — მეთ დანქანსა და ქის რობერთსონს უთქვამთ საბოლოო სიტყვა.

ნაკრების სათამაშო მანერას კარგად მოერგო ახალზელანდიური წარმოშობის შონ ლინინი. გ. ჰესთინგსის ძმასთან, სქოთთან ერთად ისინი შუამარბთა კარგ წყვილს ქმნიან. მაქგიქანს მათ მიმართ საყვედური არასდროს დასცდენია.

შოტლანდიელთა ნახევარმცველების განთქმული ტანდემის ჯონ რეზერფორდის და როი ლეიდლოუს გუნდიდან წასვლის შემდეგ ამ ადგილებზე დიდი ხანი ვაკანსია იყო, რომელსაც ხან ვინ ავსებდა და ხან ვინ. შარშან კი ეს ნაკლი ერთბაშად გამოსწორდა და მერე როგორ! 21 წლის გარე ნახევარმცველი ქრეიგ ჩალმერსი და შერკინების ნახევარმცველი გერი არმსთრონგი უცბად და სახელოვნად დამკვიდრდნენ ნაკრების შემადგენლობაში და მალე „ბრიტანელ ლომებშიც" დაისაკუთრეს ადგილი. ამავე დროს, ჩალმერსი საკმაოდ ზუსტად ურტყამს კარში და გუნდის ბომბარდირიცაა.

შერკინების პირველი ხაზი უფრო ტექნიკით გამოირჩევა, ვიდრე ფიზიკური ძალით. ბურჯებს პოლ ბერნელსა და გუნდის ახალ კაპიტანს დევიდ სოულს კარგად უბამს მხარს ჰუკერი ქენ მილნი. ეს სამეული თითქმის შეუცვლელად თამაშობს, თუმცა ხანდახან იეინ მილნი და გრანთ უილსონიც ჩნდებიან ხოლმე მოედანზე.

მეორე ხაზში შედარებით ახალგაზრდები თამაშობენ, მაგრამ ქრის გრეი და დემიან ქრონინი საკმაოდ სოლიდურ ძალას წარმოადგენენ.

აი, შოტლანდიელთა მესამე ხაზს კი მხოლოდ ახალზელანდიელი კოლეგები თუ შეედრებიან. მოკლე ფრთაზე თამაშობს „თეთრი ზვიგენი" ჯონ ჯეფრი — იდეალური მცველი, რომელიც საკმაოდ ორიგინალურიცაა და ამის გამო ხშირად აბნევს მეტოქეს. გრძელ ფრთაზე „ლურჯებს" „ბრიტანელი ლომების" კაპიტანი, გუნდის ლიდერი ფინლი ქოლდერი ჰყავთ — საოცრად ხისტი, აგრესიული და თავდადებული მოთამაშე. შერკინების შემკვრელი დერეკ ვაითი შეტევისას უფრო სახიფათოა, ვიდრე დაცვისას. ურიგონი არც მათი დუბლიორები — დერეკ თერნბელი, გრეჰემ მარშალი და ადამ ბიუქენენ-სმითი არიან, მაგრამ მათ ჯერჯერობით მოცდა მოუწევთ.

ასეთი გახლავთ მსოფლიო თასის ერთ-ერთი პრეტენდენტი შოტლანდიის ნაკრები, რომელიც არ მალავს სურვილს გაიმარჯვოს მორაგბეთა ამ ყველაზე პრესტიჟულ შეჯიბრებაში.

მერაბ რატიშვილი.

სურათზე: ბრძენი „სარდალი" და თავდადებული „მეომარი". ფინლი ქოლდერი (მარცხნივ) და იან მაქგიქანი ინგლისელებთან მატჩის შემდეგ.

რედაქტორის მოადგილე
თ. მიგრიაული

თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, საქალაქო ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, თბილისის სპორტკომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, თბილისის საპატიო მოქალაქე

ბორის სოლომონის ძე პაიჭაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თბილისის ეროვნული სტადიონი
(ა. წერეთლის გამზირი № 2)

14 ოქტომბერი
ფეხბურთი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

„იბერია" (თბილისი)—
„სანავარდო" (სამტრედია)

დასაწყისი 18 საათზე.

მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 13 და 14 ოქტომბერს 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-დან 15 საათამდე).

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ლ. ჯავახიშვილი. კორექტორები მ. ძეძამიძე და ე. [illegible]

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-53,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,
„მერანი" — 93-97-20, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი:
66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდება.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20